მიგრაციის ქრისტიანული თეოლოგია დასავლეთ ევროპაში ლტოლვილთა გამო შექმნილი კრიზისისა და გამოწვევების კონტექსტში

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია

მეგი ნახუცრიშვილის

მიერ

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტი

რელიგიის კვლევები

ხელმძღვანელი: დოქტორი, მალხაზ სონღულაშვილი

30 იანვარი, 2019 წელი, ჟენევა, შვეიცარია

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

განსაკუთრებული მადლობა მინდა გადავუხადო ფედერიკო სტაგნის (Federico Stagni) რჩევებისთვის, მოსაზრებებისთვის, კრიტიკული ანალიზისა და ჩემთან ერთად იმ პროცესის გავლისთვის ყოველდღიურ ცხოვრებაში, რასაც სამაგისტრო ნაშრომის წერა მოითხოვს.

რენი რამონს, საკვლევი საკითხის დაზუსტებისთვის, კრიტიკული რჩევებისთვის.

ნინო ნახუცრიშვილს გამხნევებისთვის, მოსაზრებებისთვის, შენიშვნებისთვის.

ირმა გეგეშიძეს, ტექნიკური ხარვეზების და ორთოგრაფიული შეცდომების გასწორებისთვის, ასევე ნაშრომის კათედრაზე წარდგენისთვის.

და, განსაკუთრებული მადლობა ნაშრომის ხელმძღვანელს, პროფესორ მალხაზ სონღულაშვილს ცოდნის გაზიარებისთვის, ცნობისმოყვარეობისა და ცოდნის სიყვარულის გაღვივებისთვის, ნდობის გამოცხადებისთვის არამხოლოდ ნაშრომზე მუშაობისას, არამედ ჩვენი შეხვედრის დღიდან.

სარჩევი

აბსტრაქტი 6

შესავალი 7

ზოგადი ფონი 7

მიმოხილვა 8

Iთავი. ცნებები, მონაცემები, პრობლემატიკა და თეზისი 10

1.1 მიგრანტის და ლტოლვილის ტერმინები ნაშრომში 10

1.2 მონაცემების მოკლე მიმოხილვა 12

1.3 მთავარი პრობლემატიკა 15

1.4 რას იკვლევს ნაშრომი 17

II თავი. თეოლოგიური მიდგომები მიგრაციის საკითხთან

მიმართებაში 18

2.1 მიგრაციის თეოლოგია 18

2.2 სოდომის და გომორას სასჯელი 18

2.3 სტუმართმოყვარეობა – ქრისტიანობის გულისგული 24

2.4 კარლ ბარტის ადამიანური ურთიერთობების ოთხი პრინციპი..... 34

2.5 ქრისტიანული სტუმართმოყვარეობა ადრეულ ეკლესიებში

ფენიმინისტური პერსქპექტივიდან..... 35

2.6 მიგრაციის თეოლოგიის საფუძველი 44

III თავი. „ქეისები“, ...48

3.1 ”Case studies” 48

3.2 აბდულა 50

3.3 ფატიმა 57

3.4 ზეინაბი 63

IV თავი. დასკვნები და შეჯამება 67

აბსტრაქტი

ევროპა, ერთი მხრივ ქრისტიანულ მემკვიდრეობასა და ღირებულებებზე აცხადებს პრეტენზიას, მეორე მხრივ, თავის საზღვრებს კეტავს ლტოლვილებისთვის და ყველა არაევროპელ მოქალაქეს თავისუფლად გადაადგილებას უზღუდავს. პოლიტიკური ფიგურები მკაცრ საიმიგრაციო პოლიტიკას ქრისტიანული ღირებულებების დაცვით ამართლებენ. წინამდებარე ნაშრომი არის დემონსტრაცია იმ პარადოქსისა, რომელიც ქრისტიანულ ღირებულებებსა და საიმიგრაციო პოლიტიკას შორის არსებობს ევროპაში. ნაშრომში განხილულია თეოლოგიური ლიტერატურა და მიდგომები მიგრაციასთან დაკავშირებული ისეთი ცნებებისა და ღირებულებების მეშვეობით, როგორიც არის: სტუმართმოყვარეობა, უცხო, მოყვასი და ქრისტიანული სწავლება ადამიანთან მიმართებაში. ასევე, წარმოდგენილია „ქეისები“, რომლებიც ილუსტრაციაა იმ სირთულეების, რისი გადატანაც მიგრანტებს უწევთ, არა მხოლოდ ევროპაში შემოღწევამდე (თუ მიგრანტი რთულ გზას გადაურჩება და ცოცხალი მოაღწევს ევროპას), არამედ მას შემდეგაც, რადგან მათი სირთულეები ევროპაში შემოღწევისთანავე კი არ მთავრდება, არამედ, ზოგჯერ იზრდება კიდეც, რთულდება ახალ გარემოსთან შეგუება და უწევთ სახელმწიფოს ბიუროკრატიულ აპარატთან ბრძოლა.

In one hand, Europe claims Christian heritage, and Christian values; on the other hand it closes its borders to refugees and economic migrants, while forbidding free movements to non Europeans. Certain politicians justify their strict migration policiesas a protection of those Christian values that constitutes Europe's heritage. This paper wants to demonstrate the paradox that existsbetween the protection of Christian values and European migration policies. This paper examines the theological literature on migration by analysing the concepts of hospitality, strangers, love of the neighbor and Christian percept of human being. The paper presents three case studies of people who have experienced extreme conditions while fleeing violence; through them, this paper offers an inside look into what it feels like to be vulnerable, in need of a peaceful place. It also demonstrates the difficultiesthat any migrant need to deal with, including dealing with institutions and bureaucracy, while adapting to new language, culture and customs.